

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გარენა

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და
პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური
წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა
ყველა ბავშვისთვის



მსოფლიო
ბავშვთა
დღე, 20 ნოემბერი

unicef 



„ეს არის პირველი ქეშმარიტად გლობალური კრიზისი, რომელიც უმეტესობა ჩვენგანმა თავის ცხოვრებაში ნახა და ის უკანასკნელი არ იქნება. არ აქვს მნიშვნელობა სად ვცხოვრობთ, პანდემია გავლენას ახდენს ყველა ჩვენგანზე და ბავშვები არასდროს ყოფილან ასეთი დიდი რისკის ქვეშ. თუმცა უარესი ჯერ კიდევ წინ გვაქვს, რადგან გლობალური ეკონომიკური კრიზისი ახლა იწყება. იმის გამო, რომ პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა ვარდნას განიცდის, რაც გავლენას ახდენს მთავრობისა და შინამეურნეობების ბიუჯეტებზე და კერძო სექტორზე, ბავშვების წინაშე არსებული რისკები შემცირების ნაცვლად იზრდება. ჩვენ უნდა დავიცვათ ათწლეულების მანძილზე ბავშვთა კეთილდღეობაში ჩადებული ინვესტიციები.

ეს სულაც არ ნიშნავს რომ ჩვენ ძველ ცხოვრებას უნდა დავუბრუნდეთ. პანდემიის შემდეგ, ადრინდელი “ნორმალური” ცხოვრების წესის დაბრუნება ბავშვებისთვის მისაღები არ იქნება, რადგან “ნორმალური” საკმარისად კარგი არასოდეს ყოფილა. პანდემიის შემდგომ პერიოდში განხორციელებულმა აღდგენითმა ღონისძიებებმა ამ მასშტაბურ სიტუაციას არსებული განსხვავებების დაძლევით უნდა უპასუხოს - რამდენიმე თაობასთან პარალელური მუშაობის გზით, ისეთი სამყაროს შესაქმნელად, რომელშიც გვინდა რომ ჩვენი შვილები იზრდებოდნენ. ბავშვთა საერთაშორისო დღე ყველა ბავშვისთვის უკეთესი მომავლის დასახვის დღედ უნდა იქცეს.“

იუნისეფის აღმასრულებელი დირექტორი ჰენრიეტა ჰ. ფორე

ეს მოკლე მიმოხილვა მომზადდა კომუნიკაციის განყოფილების „გლობალური კონტენტის სტრატეგიის“ სექციის მიერ, UNICEF– ის „მონაცემების, ანალიტიკის, დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილების“, „კვლევითი ოფისი -ინოსენტის“, პროგრამების განყოფილების და „გლობალური ანალიტიკისა და პოლიტიკის ოფისის“ კოლეგების დიდსულოვანი თანამშრომლობით, მონაწილეობით და მხარდაჭერით.

გამოქვეყნდა იუნისეფის კომუნიკაციის განყოფილების მიერ.

მისამართი:

3 United Nations Plaza

New York, NY 10017, USA

© United Nations Children’s Fund (UNICEF), November 2020

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გარეხა

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და
პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური
წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა
ყველა ბავშვისთვის

მსოფლიო ბავშვთა დღე, 20 ნოემბერი

შინაარსი

1.	შესავალი	5
2.	COVID-19-ის ზემოქმედება ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე	10
3.	COVID-19-ის სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება ბავშვებზე	14
4.	ექვსპუნქტიანი გეგმა ჩვენი ბავშვების დასაცავად	27

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

მოსწავლეები კამბოჯის პრეა ნოროდომის დაწყებით სკოლაში (ფნომ პენი, კამბოჯა) სკოლების გახსნის მეორე დღეს. სკოლის ტერიტორიაზე ყველა მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლის დირექტორი ატარებს ნიღაბს, იცავს ფიზიკურ დისტანციას და ასრულებს განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცემულ სხვა მითითებებსა და COVID-19-ისგან დაცვის საუკეთესო პრაქტიკას.



1. შესავალი

პანდემიის დაწყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ COVID-19-მა 1 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა და მომავალი ეჭვქვეშ დააყენა. ვირუსის გავლენა მსოფლიოს ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ცხადი და სულ უფრო საგანგაშო ხდება. ბავშვებს ერთდროულად სამი ტიპის საფრთხე ემუქრებათ: თავად დაავადების პირდაპირი შედეგები, ძირითადი სერვისების შეწყვეტა და სიღარიბის და უთანასწორობის ზრდა.

იმის მიუხედავად, რომ ეს ასაკობრივი ჯგუფი სხვებზე ნაკლებად არის დაზარალებული, არსებული მონაცემების თანახმად, COVID-19 ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე უფრო პირდაპირ გავლენას ახდენს, ვიდრე თავდაპირველად ველოდით, როდესაც 2019 წლის ბოლოს კრიზისი დაიწყო, 87 ქვეყნიდან მიღებული ასაკობრივი მონაცემების საფუძველზე გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გაკეთებული ახალი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2020 წლის ნოემბრის მონაცემებით, ამ ქვეყნებში, COVID-19-ით ინფექციების აღრიცხული შემთხვევების მთლიან რაოდენობაში ბავშვებისა და მოზარდების წილი 11 პროცენტია. ისეთი აუცილებელი სერვისების შეფერხება, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, კვება და ბავშვთა დაცვა, ბავშვებს ზიანს აყენებს. გლობალური ეკონომიკური რეცესიის პირობებში ბავშვები ლატაკდებიან და ღრმავდება უთანასწორობა და გარიყულობა, რადგან ყველაზე დაუცველი ოჯახები ცდილობენ გაუმკლავდნენ სამუშაოების, საარსებო წყაროების,

შემოსავლების, მობილობის, სწავლის შესაძლებლობების, ჯანმრთელობისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის დაკარგვას.

პანდემია გავლენას მოახდენს ბავშვების ცხოვრებაზე მომდევნო წლების განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ვაქცინა მალე გახდება ხელმისაწვდომი. ბავშვებისა და მოზარდების მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეაგირებს მსოფლიო ახლა პანდემიის მიერ მათთვის შექმნილ უამრავ რისკზე. თუ მთელი მსოფლიო პრიორიტეტებს სასწრაფოდ არ შეცვლის, ამ თაობის ახალგაზრდული პოტენციალი შეიძლება დაიკარგოს.

ბავშვთა საერთაშორისო დღეს, იუნისეფი აფასებს COVID-19-ის გლობალურ გავლენას ბავშვებსა და ახალგაზრდებზე, იხილავს უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემებისა და გამოკვლევების საფუძველზე არსებულ ცოდნას, ყურადღებას ამახვილებს ჯერ კიდევ გაურკვეველ საკითხებზე, განიხილავს მოქმედების შესაძლო ვარიანტებს და მოუწოდებს მსოფლიოს გადადგას თამამი და უპრეცედენტო ნაბიჯები ბავშვებისთვის უკეთესი მომავლის დასაგეგმად. COVID-19 არის ბავშვთა კრიზისი. პანდემიის პირველ თვეებში ბავშვების წილი ინფიცირებულ მოსახლეობაში დაბალი იყო. ამის მიუხედავად, ვირუსის გავრცელებასთან ერთად, ინფიცირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების რიცხვი იზრდება, რაც სპეციალური ზომების მიღების საჭიროებას წარმოშობს.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

იმის მიუხედავად, რომ ბავშვებზე COVID-19-ის გავლენის შესახებ ჩვენი ცოდნა სამეცნიერო კვლევებისა და მონაცემთა რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ სწრაფად ვითარდება და პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის თავზე ჩვენ უკეთ ვერკვევით ამ დაავადებაში:

- **ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება COVID-19-ით დაავადდნენ.** მიუხედავად იმისა, რომ პანდემია უპირატესად არ მოქმედებს ბავშვებზე, ინფიცირებული ბავშვების რიცხვი ბევრ ქვეყანაში იზრდება. და თუმცა მათ უფრო მსუბუქი სიმპტომები აქვთ მოზრდილებთან შედარებით, მძიმე და ლეტალური შემთხვევები მაინც გვხვდება ხოლმე, განსაკუთრებით თანმდევი დაავადებების მქონე ბავშვებში.
- **მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები არ არიან საზოგადოებაში ვირუსის გადაცემის ძირითადი წყარო,** მათ შეუძლიათ ვირუსი გადასდონ ერთმანეთს და ხანდაზმულ ასაკობრივ ჯგუფებს. უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს ქცევის იგივე წესების დაცვა მოეთხოვებათ, რაც მოსახლეობის სხვა წევრებს (მაგ. სოციალური დისტანცირება და ნიღბების ტარება).
- **იმის გათვალისწინებით, თუ რა კრიტიკულ როლს ასრულებს ტესტირება პანდემიის აფეთქების კონტროლის პროცესში, კონკრეტულ დასახლებულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევებისა და ტესტების მონაცემები, დაყოფილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, დაავადების გავრცელების გეოგრაფიული და ასაკობრივი განაწილების უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით დავგეგმოთ COVID-19-ზე მიზანმიმართული რეაგირების ზომები.**
- **სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებიდან** ჩანს, რომ ბავშვები და სკოლები ეპიდემიის გავრცელების მთავარ წყაროს არ წარმოადგენენ. არსებული მტკიცებულებების მიხედვით, სკოლების გახსნის დადებითი შედეგები აქარბებს მათი დახურვით გამონვეულ ზიანს. 191 ქვეყნის მონაცემების თანახმად, სკოლების გახსნასა და COVID-19-ის გავრცელების მაჩვენებლებს შორის კორელაციური კავშირი არ არის.
- **ჯანდაცვის, კვების, განათლების,** წყლისა და სანიტარიის, სოციალური და ბავშვთა დაცვის სერვისების დარღვევამ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე უარესად მძიმე ზეგავლენა მოახდინა. პანდემიამდეც კი, ბავშვების დაახლოებით 45 პროცენტი ასეთი კრიტიკული მნიშვნელობის სერვისებს ვერ იღებდა. მკვეთრად შემცირდა სტაციონალურ დაწესებულებებში ისეთი მომსახურების მიღების მაჩვენებელი, როგორცაა მშობიარობა, იმუნიზაცია, კვების მძიმე უკმარისობის მქონე და ავადმყოფი ბავშვების სამედიცინო მომსახურება, განსაკუთრებით სამხრეთ აზიის, შუა აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში.
- **პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა** ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მომავლის გამო შფოთვამ, განათლების მიღებისა და სამუშაო შოვნის შესაძლებლობების შემცირებამ, ჯანმრთელობის პრობლემებმა და თანატოლებთან და სოციალურ ქსელებში ურთიერთობის შეფერხებამ გავლენა მოახდინა ბავშვების ცხოვრებაზე.
- **პანდემიის ეკონომიკური შედეგები** გავლენას მოახდენს მომდევნო წლებზე და ხელს შეუწყობს სიღარიბის ზრდას. გლობალური მასშტაბით,

სავარაუდოდ 15 პროცენტით გაიზარდა იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც მრავალგანზომილებიან სიღარიბეში იმყოფებიან (ანუ განათლების, ჯანმრთელობის, საცხოვრებლის, კვების, სანიტარული და წყლის ხელმისაწვდომობის გარეშე არიან). 2020 წლის შუა პერიოდის მდგომარეობით ეს დამატებით 150 მილიონ ბავშვს ნიშნავს.

- **პანდემიის დაწყებიდან თითქმის** ერთი წლის გასვლის შემდეგ უკვე ცხადია, რომ მარტივი გამოსავალი არ არსებობს. მაშინაც კი, თუ ეფექტური და უსაფრთხო ვაქცინა ხელმისაწვდომი გახდება, მის ფართო წარმოებას დრო დასჭირდება - დრო, რომელიც ბევრ ბავშვს უბრალოდ არ აქვს. თუ ჩვენ გვინდა, რომ ისინი ვირუსისგან დავიცვათ, სიცოცხლე შევუნარჩუნოთ და მათი განვითარების უფლებები და მომავალი დავიცვათ, ზოგი საჭიროება დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს, თორემ შედეგები მათზე გავლენას მთელი სიცოცხლის მანძილზე მოახდენს.

„შეიძლება იმის გამო, რომ COVID-19-ის შედეგად მშობლებმა შემოსავალი მომენტალურად დაკარგეს, ან მკაცრი შეზღუდვების შემოღების გამო, ბავშვებმა და ჩვენ, ახალგაზრდებმა, ამ პანდემიისგან მძიმე დარტყმა მივიღეთ, რომლის შედეგებს კიდევ დიდხანს შევიგრძნობთ მას შემდეგ, რაც თავად ვირუსი აღმოიფხვრება“.

[ჰაისამა ჭიბუჭი](#)

სხვა შედეგები, მაგალითად, განყვეტილი სასწავლო წელი, ლიმიტირებული სწავლა, ან ვირუსით დაინფიცირება მწვავე სიმპტომების გარეშე, შეიძლება ერთი შეხედვით არც

ისე სერიოზულად გამოიყურებოდეს ამ გლობალური პანდემიის ფონზე. მაგრამ ეს გამოცდილება დაღს დაასვამს ყველა იმ ბავშვის მომავალს, ვისაც მისი გადატანა მოუწევს. ამასთან ერთად, ფარული ზემოქმედება კიდევ უფრო დიდია - ეს შეიძლება იყოს მომავალში დასაქმების პოტენციალის დაკარგვა, ძალადობის ზრდა, სიღარიბის მატება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ბავშვების ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემები იმ ბავშვებში, რომლებიც არასრულფასოვან კვებას იღებდნენ ან დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ.

ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავინწყდეს ისიც, რომ ეს კრიზისი კლიმატის კრიზისის ფონზე ვითარდება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საგანგებო სიტუაციების მზარდი რისკი, მათ შორის პანდემია (როგორცაა COVID-19), თავისთავად კლიმატის ცვლილების შედეგია. ახალგაზრდები უფროს თაობებს ეუბნებიან, რომ მათ კლიმატის კრიზისი აწუხებთ იმავე მიზეზების გამო და ისევე ძლიერად, როგორც ამჟამად ყველა COVID-19-ის გამო წუხს. ეს პანდემია და ჩვენი რეაგირება საშუალებას აძლევს თაობებს გაერთიანდნენ და სხვაგვარად (სამართლიანად, ინკლუზიურად და მდგრადად) იმოქმედონ ამ ორმაგი კრიზისის დასაძლევად“.

იუნესკო-მ მოუწოდებს შემუშავდეს **ექვსკუნძობიანი გეგმა ჩვენი შვილების დასაცავად** - პანდემიის ყველაზე უარესი შედეგების შემცირების სასწრაფო ზომების ჩამონათვალი და აღდგენის პრაქტიკული გეგმა, რომ მიმდინარე პერიოდში ბავშვების უფლებები დავიცვათ და მომავალი უკეთესობისკენ შევცვალოთ. მომდევნო წლების განმავლობაში ბავშვები და ახალგაზრდები ამ პანდემიის ზემოქმედების ქვეშ ცხოვრებენ. ჩვენ უნდა მოუსმინოს ბავშვებსა და ახალგაზრდებს და ჩავრთოთ ისინი იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ მომავალს განსაზღვრავს.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

ჩანართი 1

რა ზემოქმედება მოახდინა

COVID-19-მა ბავშვებზე?

- 2020 წლის ნოემბრის მონაცემებით, 87 ქვეყანაში, COVID-19-ით ინფიცირებული 25.7 მილიონი ადამიანიდან 11% 20 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები იყვნენ. აქედან, ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა მეტი იყო 10–19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ვიდრე 0–9 წლის ასაკის ბავშვებში და ბიჭებს შორის, გოგონებთან შედარებით (ისევე, როგორც უფროს ასაკობრივ ჯგუფებში).
- 12 თვის განმავლობაში, მომსახურების შეწყვეტის ყველაზე უარესი სცენარის და არასრულფასოვანი კვების შემთხვევების ზრდის პირობებში, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 2 მილიონით, ხოლო მკვდრადშობადობა 200,000-ით.
- 2020 წელს, დამატებით 6 –7 მილიონმა 5 წლამდე ასაკის ბავშვმა შეიძლება განიცადოს გამოფიტვა ან მწვავე არასრულფასოვანი კვება, რაც ამ მაჩვენებლის 14 პროცენტთან ზრდას ნიშნავს და შეიძლება თვეში დამატებით 10,000 –ზე მეტი ბავშვის სიკვდილი გამოიწვიოს - უმეტესად საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში და სამხრეთ აზიაში.
- COVID-19- ის გამო, დამატებით 140 მილიონი ბავშვი ფულად სიღარიბეში ცხოვრობს.
- COVID-19-ის პიკის დროს სკოლის დახურვამ გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს მოსწავლეების თითქმის 90 პროცენტზე - მათ შორის 743 მილიონ გოგონაზე. მათგან 111 მილიონზე მეტი ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს.

- ციფრული სასწავლო რესურსების და მშობელთა მხარდაჭერის არათანაბარი წვდომა ზრდის უთანასწორობას ახალგაზრდებს შორის.
- საზღვრების დახურვამ, ქსენოფობიის ზრდამ და გარიყულობამ განსაკუთრებული რისკის ქვეშ დააყენა მიგრანტი და ლტოლვილი ბავშვები. 59 ქვეყანაში, რომელიც მონაცემებიც ხელმისაწვდომია, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები ჩართულნი არ არიან COVID-19-თან დაკავშირებული სოციალური დაცვის ღონისძიებებში.
- COVID-19–მა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსოფლიოში 3 მილიარდ ადამიანს არ აქვს ხელების დასაბანი საშუალებები; 700 ბავშვი იღუპება ყოველდღე არაადეკვატური წყლით, სანიტარული პირობებითა და ჰიგიენის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებებისგან.
- პროგნოზის მიხედვით, COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების დროს, ყოველ სამ თვეში, გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები შეიძლება კიდევ 15 მილიონით გაიზარდოს.
- ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების დაახლოებით 70 პროცენტი ფერხდება. იმის გამო, რომ ფსიქიკური პრობლემების უმეტესობა თინეიჯერულ ასაკში ვითარდება, ახალგაზრდები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. შეფერხებული სერვისის ზემოქმედებას ისიც ემატება, რომ სკოლის დახურვის, გაუქმებული ღონისძიებების ან გადადებული გამოცდების გამო ახალგაზრდებმა დაკარგეს თანატოლებისგან მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა და მათი ცხოვრების ყველაზე დიდი მომენტები. შემცირდა ეკონომიკური პერსპექტივებიც.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

2. COVID-19-ის ზემოქმედება ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე

პასუხი იმაზე, თუ ზუსტად რამდენად მონყვლადი არიან ბავშვები და მოზარდები ვირუსის მიმართ, ჯერ კიდევ არ არის გაცემული. ბავშვებსა და მოზარდებში დარეგისტრირებული შემთხვევების შედარებით მცირე რაოდენობის გამო არსებობს ვარაუდი, რომ მათზე ვირუსი ნაკლებად მოქმედებს. ამავე დროს, ეს შეიძლება გამონკვეული იყოს იმიტაც, რომ ახალგაზრდები ტესტირებას ნაკლებად იტარებენ ან იმიტ, რომ ვირუსი მათზე განსხვავებულად მოქმედებს. ამ კითხვაზე დაზუსტებული პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან კვლევებში მოცემულია მრავალფეროვანი განაწილება ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ვირუსის ზემოქმედების განსხვავებული ისტორიები და დაავადების აღწერები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პანდემიის სხვადასხვა ფაზებში.

მოზარდებზე COVID-19-ის ზემოქმედების მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე მცირეწლოვან ბავშვებზე (მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე ზრდასრულ პირებზე). მათ ზოგჯერ აქვთ გართულებები (თუმცა ზრდასრულ პირებთან შედარებით გაცილებით ნაკლები) და შეუძლიათ ვირუსი სხვას გადასდონ. შეერთებულ შტატებში, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოზარდები დაახლოებით ორჯერ მეტი ალბათობით ინფიცირდებიან COVID-19-ით, ვიდრე მცირეწლოვანი ბავშვები.

ივნისში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, დაბალი და

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, 20 წლამდე ასაკის პირებში SARS-CoV-2-ის გავრცელების მაჩვენებელი ქვეყანაში არსებული შემთხვევების მთლიანი რაოდენობის 11 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ბავშვთა და ახალგაზრდების წილი მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში უფრო მცირეა - 7 პროცენტს. დადგენილია, რომ 20-წლამდეელთა ასაკის პაციენტების წილი მერყეობს 23 პროცენტიდან (პარაგვაიში) მხოლოდ 0.82 პროცენტამდე (ესპანეთში).

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის COVID-19-ის გავრცელების ზრდა დაფიქსირდა. შეერთებულ შტატებში, სექტემბრის ბოლოს, ყველა ასაკის ბავშვების ინფიცირების შემთხვევათა წილი იყო 10 პროცენტი, ხოლო აპრილში - მხოლოდ 2 პროცენტი. ამასთან, ამ ტენდენციების ინტერპრეტაციის დროს სიფრთხილეა საჭირო, რადგან ტესტირების შეცვლილი სტრატეგია და გაზრდილი ხელმისაწვდომობა შეიძლება გავლენას ახდენდეს გავრცელების მაჩვენებლებზე.

იუნისეფის მიერ მაქს პლანკის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზის ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მონაცემთა ბაზაში შეტანილი 87 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, COVID-19-ით ინფიცირებული 25.7 მილიონი პაციენტიდან (რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინფიცირებულთა 54 პროცენტია) 11 პროცენტი ბავშვები და 20 წლამდე

მოზარდები არიან. სხვადასხვა ქვეყნებში COVID-19-ის გავრცელების მაჩვენებელი 1.13 პროცენტიდან 30 პროცენტამდე მერყეობს. აქედან 68 პროცენტი 10–19 წლის მოზარდებზე მოდის, ხოლო 32 პროცენტი 0–9 წლის ბავშვებზე. ამ 87 ქვეყანას შორის, 63 ქვეყნის მონაცემები სქესის მიხედვით არის დიფერენცირებული და გვიჩვენებს, რომ მამაკაცებში ინფექციის გავრცელების მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში.

ზოგადად, COVID-19-ით დაავადებულ ბავშვებსა და მოზარდებს უფრო მსუბუქი სიმპტომები აქვთ ვიდრე ზრდასრულ პირებს. მსოფლიო მასშტაბით, სიკვდილიანობის დონე ბავშვებსა და მოზარდებში მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ხანდაზმულთა შორის. თუმცა, COVID-19-ის მძიმე შემთხვევები ბავშვებშიც არის დაფიქსირებული. მსოფლიოში, მილიონობით ბავშვს აქვს თანმდევი დაავადებები, როგორცაა არასრულფასოვანი კვება, აივ ინფექცია ან შეზღუდული შესაძლებლობები.

ასეთი ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან. ამჟამად ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს COVID-19-მა ბავშვის ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი პერიოდში.

ამასთან, ბავშვების ჯანმრთელობას უფრო დიდი საფრთხე ემუქრება იმის გამო, რომ ვირუსის გავრცელების შეჩერების მცდელობების შედეგად ფერხდება ის კრიტიკული სერვისები, რომლებიც იცავენ და ეხმარებიან ბავშვებსა და ახალგაზრდებს. COVID-19-ზე რეაგირების ზომები ზოგჯერ აფერხებენ ბავშვების ჯანმრთელობის დასაცავად საჭირო სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორცაა ვაქცინაცია ან დედებსა და ახალშობილებზე ზრუნვა, რამაც შეიძლება სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლები გაზარდოს. მაგალითად, სიცოცხლის გადამრჩენი ღონისძიებების შემცირებამ და არასაკმარისმა კვებამ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეიძლება წელიწადში 2 მილიონზე მეტად გაზარდოს.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

ჩანართი 2

სკოლების მუშაობის ჩვეულებრივი რეჟიმის

შენარჩუნება COVID-19-ის მეორე ტალღის დროს

იმის გამო, რომ ზოგიერთ ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების ტემპი კვლავ გაიზარდა, ცოტა ხნის წინ დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სკოლების ხელახლა დახურვა. მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლების გახსნის წმინდა სარგებელი აჭარბებს მათი დახურვის ხარჯებს.

სკოლები ეპიდემიის გავრცელების მთავარ წყაროს არ წარმოადგენენ.

2020 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე 191 ქვეყანაში შეგროვებული მონაცემების თანახმად, სკოლების გახსნასა და COVID-19 ინფექციის მაჩვენებლებს შორის თანმიმდევრული კავშირი არ არის. 2020 წლის ივლისში დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპულმა ცენტრმა (ECDC) COVID-19-ის გადაცემაში სკოლების როლის შეფასება 31 ქვეყანაში ჩაატარა. დადგინდა, რომ სკოლებში ბავშვიდან

ბავშვზე გადაცემა იშვიათია და სკოლა არ არის COVID-19-ის გადაცემის მთავარი მიზეზი ბავშვებში, რომლებიც ინფიცირებულნი იყვნენ სკოლაში სწავლის პერიოდში. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხელი შეუწყვეს ინფექციის გავრცელებას.

ბავშვები უფრო ხშირად ვირუსით სკოლის გარეთ ინფიცირდებიან.

გაცილებით მეტია რისკი, რომ ბავშვებს COVID-19 სამეზობლოში გადაედოთ, თუ თემში დაავადება გავრცელდება. ბრიტანეთის მთავრობის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზაფხულში სკოლის გახსნის შემდეგ, სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ინფექციის გავრცელების მაჩვენებლები არ გაიზარდა და რომ ლოკალიზებული აფეთქებები

კორელაციაშია რეგიონალურ აფეთქებებთან და არა სკოლის გახსნასთან. ბრაუნის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები აჩვენებს, რომ შეერთებულ შტატებში სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ინფექციის გავრცელების დონე დაბალია. 31 აგვისტოდან, როდესაც სკოლების გახსნა დაიწყო, ინფექციის გავრცელების ორკვირიანი მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ კორონავირუსის დადასტურებული ან საექვო შემთხვევები აღმოაჩნდა მხოლოდ მოსწავლეების 0.77 პროცენტს და სკოლის პერსონალის 0.16 პროცენტს. გარდა ამისა, დაავადების გადაცემის რისკების შესამცირებლად სკოლებმა მნიშვნელოვანი ზომები მიიღეს. ამ ძალისხმევის მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს

სკოლის დახურვამ შეიძლება ბავშვებისთვის უკიდურესად უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

სკოლების დახურვა ბავშვებს მრავალი რისკის წინაშე აყენებს. რაც უფრო დიდხანს დაიკეტება სკოლები, მით უფრო მეტი ბავშვის სწავლის შედეგები გაუარესდება, რაც თავის მხრივ ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე გრძელვადიან ნეგატიურ გავლენას მოახდენს, მომავალი შემოსავლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩათვლით. იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი ასაკი, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობები ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ბევრი ბავშვი (განსაკუთრებით მოზარდები) შეიძლება აღარც დაბრუნდეს სკოლაში მისი ხანგრძლივი დახურვის შემდეგ და სავარაუდოდ, მრავალი სხვა ბავშვის სწავლის შედეგები სამუდამოდ გაუარესდება. გარდა ამისა, ბავშვები სკოლებში კვებას, ფსიქო-სოციალურ დახმარებასა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებას იღებენ.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

3. COVID-19-ის სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება ბავშვებზე

COVID-19 პანდემია დამანგრეველია იმ ძირითადი სერვისებისთვის, რომლითაც მილიონობით ბავშვი სარგებლობს. მაგრამ ეს მოვლენები ყველა ბავშვზე თანაბარ ზემოქმედებას როდი ახდენს. პანდემიამდეც კი, უკვე არსებობდა ღრმა განსხვავებები იმ მომსახურებების მოცულობებსა და ხარისხს შორის, რომელსაც სხვადასხვა ადამიანები იღებდნენ ჯანმრთელობის, კვების, განათლების, ფსიქიკური ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში.

მომსახურების შეფერხებას და მის გავლენას ბავშვებზე ინვევენ როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნილების პრობლემები. ერთის მხრივ მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები და სკოლებისა და სამედიცინო ცენტრების ლიმიტირებული ხელმისაწვდომობა, ხოლო მეორეს მხრივ ინფექციის შიში, დაწესებულებების მიმართ უნდობლობა, დისკრიმინაცია, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გამონვევები და სხვა ფაქტორები ზემოქმედებას ახდენენ მშობლების, აღმზრდელების, ბავშვებისა და ახალგაზრდების გადანყვეტილებებზე, არ ისარგებლონ დაწესებულებებითა და მომსახურებებით.

პანდემიის რეალური გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე და მთავრობის მიერ სოციალური სექტორის დაფინანსების შესაძლებლობებზე მხოლოდ მომავალ თვეებსა და წლებში გამოჩნდება. წარსული მონაცემების თანახმად, კრიზისებს ხშირად თან ახლავს ბიუჯეტის შემცირება,

რაც უფრო მეტ უთანასწორობას ქმნის და ბავშვებს აზიანებს. პანდემიისთვის მზადყოფნის ნაკლებობამ თავისთავად გაზარდა პანდემიის დრამატული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ჯანდაცვის მომსახურება. 141 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე იუნისეფის მიერ შემუშავებული უახლესი ანგარიში აჩვენებს, რომ ქვეყნების დაახლოებით მესამედს აქვს მინიმუმ 10 პროცენტის ვარდნა რუტინული ვაქცინაციის, ბავშვთა ინფექციური დაავადებების ამბულატორიული მკურნალობისა და დედების ჯანმრთელობის დაცვის სერვისებში. რუტინული ვაქცინაციის შემცირება (ქვეყნების ორი მესამედი აღნიშნავს გარკვეულ ვარდნას) შეიძლება COVID-19-ის ვაქცინაციის შემდგომი კამპანიებისთვის საჭირო შესაძლებლობების დაკარგვას ნიშნავდეს. უფრო მეტიც, ახალი COVID ვაქცინის გამოყენების გამო შეიძლება შემცირდეს ბავშვების რუტინული იმუნიზაციისთვის საჭირო რესურსები. ზემოხსენებულ 141 ქვეყანაში ჯანდაცვის სერვისების შემცირების ძირითადი მიზეზებია მოთხოვნის შემცირება ინფიცირების შიშის გამო, მობილობის შეზღუდვა და მომსახურების დახურვა ან გადავადება.

ზოგიერთ ქვეყანაში, პანდემიის პირველ თვეებში იმუნიზაციის სერვისები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ეს მომსახურება ერთ-ერთი პირველი აღდგა. ამავე დროს, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების მომსახურებების

(მათ შორის მშობიარობის სერვისებისა და ავადმყოფი ახალშობილებისა და ბავშვების მომსახურების) აღდგენის პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს, განსაკუთრებით სამხრეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვებისა და დედების სიცოცხლეს. შეზღუდული ხელმისაწვდომობა, შფოთვა, შიში, სტიგმა და დეზინფორმაცია ხელს უშლის მოსახლეობისთვის ამ მომსახურებების სრულად მიწოდებას.

„გულწრფელად გეტყვით, ამ პანდემიის დროს, ბევრი რამ ვისწავლე. ყველაზე ღირებული რამ, რაც მე ვისწავლე (განსაკუთრებით წინა ხაზზე მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებისგან), არის თავგანწირვა და თანაგრძნობა. ეგენი რომ არა, მე ვერც კი წარმომიდგენია, რა გვეშველებოდა პანდემიის დროს“.

რაინა, 17 წლის, ინდონეზია

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:


პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

გრაფიკი 1:


**ჯანდაცვის სერვისების შეფერხება
კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება**

ქვეყნების დაახლოებით მესამედს აღენიშნება ჯანდაცვის სერვისების მოცულობის მინიმუმ 10 პროცენტით ან უფრო მაღალი ვარდნა გასულ წელთან შედარებით (141 ქვეყნის მონაცემები).


რუტინული ვაქცინაციის მონაცემთა ცვლილება 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით



ბავშვთა ინფექციური დაავადებების ამბულატორიული მკურნალობის მონაცემთა ცვლილება 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით



დედების ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მონაცემთა ცვლილება 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით



წყარო: იუნისეფის მიერ ჩატარებული ანალიზი „COVID-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების კვლევა“, აგვისტო, 2020. კვლევა განხორციელდა მონაცემების, ანალიზის, დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ, UNICEF COVID-19 სამდივნოსთვის.

ჯასტინი კინზასას (კონგოს
დემოკრატიული რესპუბლიკა)
საშუალო სკოლის დამამთავრებელი
კლასის მოსწავლეა



ბანათლება: სკოლების საყოველთაო დახურვამ პიკის დროს 2020 წლის აპრილის ბოლოს შეაფერხა სწავლის პროცესი მსოფლიო მასშტაბით სტუდენტების 90 პროცენტისთვის და გავლენა იქონია 1.5 მლრდ სკოლის მოსწავლეზე. სამწუხაროდ ბავშვები ყველაზე მეტად ზარალდებიან ასეთ პირობებში. სკოლების დახურვის პერიოდში დაახლოებით 463 მილიონ მოსწავლეს არ ჰქონდა წვდომა დისტანციურ სწავლებასთან. წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ დადიოდნენ სკოლაში, განსაკუთრებით გოგონები, ნაკლებად უბრუნდებოდნენ სწავლას. თვეების შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით სკოლების დახურვა კვლავ გავლენას ახდენს ბავშვებზე და ახალგაზრდებზე. 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით სკოლების დახურვამ გავლენა იქონია 572,324,061 მოსწავლეზე, რაც მთლიანად ჩარიცხული სტუდენტების 33 პროცენტია 30 ქვეყანაში დახურული სკოლების პირობებში. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ინფექციის გავრცელების მეორე ტალღა დაიწყო და საპასუხო ღონისძიებები მოხილობის შეზღუდვას ითვალისწინებს, სავარაუდოდ ეს რიცხვები მომდევნო კვირებში და თვეებში გაიზრდება.

“ბევრი ახალგაზრდა ჩემი ჩათვლით გაურკვევლობაშია ჩვენს მომდევნო ნაბიჯებთან დაკავშირებით რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვენს აკადემიურ მიღწევებთან. ბევრი ჩვენგანი თავს ისე გრძნობს რომ თითქოს ვეღარ აკონტროლებს საკუთარ მომავალს, რასაც თავისთავად შეუძლია მღელვარების გამოწვევა.”


მაჰამი, 18 წლის, გაერთიანებული სამეფო

როდესაც „ლოკდაუნი“ დაიწყო, სკოლის დახურვამ ან შეაფერხა სასკოლო წლის დასრულება, გადაავადა სასკოლო წლის დაწყება ან ის დაემთხვა წინასწარ დაგეგმილ არდადეგებს. იუნისეფის კვლევების თანახმად, რომლებიც 2020 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდში ჩატარდა, საშუალოდ 40 სასკოლო დღე დაიკარგა, თუ აკადემიური წელი უკვე დასრულებული იყო კვლევის დროისთვის (ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარე ქვეყნებისთვის). ქვეყნებში, სადაც აკადემიური წელი მიმდინარეობდა კვლევის მიმდინარეობის დროს, 54 დღე აღინიშნა დაკარგულად (ძირითადად სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ქვეყნებისთვის).

ღიაგრამა 2

დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მოსწავლეებს უფრო მეტი სასკოლო დღე გაუცდათ ვიდრე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მოსწავლეებს

გაცდენილი სასკოლო დღეების საშუალო რაოდენობა შემოსავლის დონის მიხედვით



წყარო: წყარო: იუნესკო-იუნისეფი-მსოფლიო ბანკის ერთობლივი კვლევის მე -2 რაუნდი, 2020.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის


სახელმწიფოების 90 პროცენტზე მეტმა დისტანციური სწავლის გარკვეული ფორმა დანერგა, რითაც მოიცვა სკოლის მოსწავლეების თითქმის 70 პროცენტი - 1 მლრდ ბავშვზე მეტი მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, სკოლის მოსწავლეების 30 პროცენტს გლობალურად ან არ აქვს აუცილებელი ტექნოლოგიები შინ დისტანციური სწავლისთვის ან არ იმყოფებიან დისტანციური სასწავლო პოლიტიკის დაფარვის ქვეშ. ბავშვების უდიდესი წილი, რომლებზეც ვერ ხორციელდება პოლიტიკის წვდომა საჭარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში ცხოვრობენ.

პატარა ბავშვები განსაკუთრებით ჩამორჩენილები არიან. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების სამი მოსწავლიდან სულ მცირე ორზე სწავლის დისტანციური ფორმატით წვდომა შეუძლებელია, ხოლო იმ მოსწავლეების ნახევარი, რომლებთანაც წვდომა შეუძლებელია დაწყებითი სკოლის მოსწავლეები არიან. გოგონები ასევე არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბევრ ქვეყანაში ICT უნარებს უპირატესად ვაჟები ფლობენ და ოჯახებშიც, კომპიუტერებს და ინტერნეტს გოგონები უფრო ნაკლებად გამოიყენებენ ვიდრე ვაჟები.

დიაგრამა 3

ინტერნეტ არხები აღწევს გლობალურად სასკოლო ასაკის ბავშვების მხოლოდ 24 პროცენტამდე, რაც ასახავს სოციალურ - ეკონომიკურ და ღრმა ციფრულ უთანასწორობას.

სტუდენტების წილი დისტანციური სასწავლო პოლიტიკის დაფარვის ქვეშ



წყარო: იუნისეფის ერთობლივი კვლევის მონაცემები და შინამეურნეობების კვლევა

ტელევიზია სასწავლო მასალების გაზიარებაში არსებული შეზღუდვის მიუხედავად უზრუნველყოფს უდიდეს დაფარვას და გლობალურად სასკოლო ასაკის ბავშვების 62 პროცენტთან წვდომას. ინტერნეტარხები გლობალურად სასკოლო ასაკის ბავშვების მხოლოდ 24 პროცენტამდე აღწევს, რაც სოციალურ-ეკონომიკურ და ციფრულ უთანასწორობას ასახავს.

ნუტრიცია: 135 ქვეყანაში ჩატარებული იუნისეფის უახლესი კვლევა მიუთითებს ზოგადად ქალების და ბავშვების ნუტრიციის გაუმჯობესების სერვისების დაფარვის 40 პროცენტთან კლებაზე. ივლისში სასკოლო კვების შეწყვეტის გამო, 161 ქვეყანაში დაახლოებით 370 მლნ. ბავშვი, ვინც დამოკიდებული იყო სასკოლო საკვებზე, როგორც ყოველდღიური ნუტრიციის საიმედო წყაროზე, იძულებული გახდა სხვა წყაროების ძიება დაეწყო. 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით მსოფლიოში 265 მლნ. ბავშვი კვლავ მოკლებული იყო სასკოლო საკვებს. 250 მლნ-ზე მეტი 5 წლამდე ასაკის ბავშვი მოკლებულია A ვიტამინის შემცველი დანამატების სასიცოცხლო მნიშვნელობის სარგებელს და კიდევ 6.7 მლნ ბავშვი შეიძლება დასუსტდეს COVID-19 -ის პანდემიის პირველი 12 თვის განმავლობაში.

ასეთმა დასუსტებამ შესაძლოა დამატებით 120,000 სიკვდილი გამოიწვიოს.

ნუტრიციული სერვისების შეფერხების ძირითად მიზეზებად დასახელდა მზრუნველების და ოჯახების მხრიდან მოთხოვნის შემცირება ინფექციის მიმართ შიშის გამო; მზრუნველების შეზღუდული მობილობა „ლოკდაუნის“ გამო და შედარებით ნაკლებად, სერვისების, მათ შორის, სასკოლო კვების შეწყვეტა. ქვეყნების უმრავლესობამ დანერგა ღონისძიებები ნუტრიციული სერვისების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ფოკუსირებულია: 2 წლამდე ასაკის ბავშვების ძუძუთი კვების და დამატებითი კვების პრიორიტეტულობაზე და მათ დედეებზე; მიკრონუტრიციულ დანამატებზე და საშინაო საკვების გამდიდრებაზე 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის; და მწვავე მალნუტრიციის ადრეულ გამოვლენასა და მკურნალობაზე. სურსათის არასაკმარისობა და მალნუტრიცია პროგნოზის მიხედვით ასევე გაუარესდება მომდევნო წლის განმავლობაში. უახლესი შეფასებები მიუთითებს, რომ დამატებით 132 მლნ. ადამიანი შეიძლება დადგეს შიმშილის პრობლემის წინაშე, მათ შორის, 44 მლნ. ბავშვი.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:


პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

დიაგრამა 4


პანდემიის შერბილების ღონისძიებები ცვლის ნუტრიციულ სერვისებს და ემუქრება სასურსათო უსაფრთხოებას

ქვეყნების რაოდენობა, სადაც აღინიშნა COVID-19-თან დაკავშირებით ნუტრიციული სერვისების დაფარვის ცვლილება 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (135 ქვეყნის მონაცემები)


A ვიტამინის დანამატი



რკინის და ფოლიუმის მჟავის დანამატები



სასკოლო ნუტრიციული პროგრამები



წყარო: იუნისეფის ანალიზი - COVID-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების კვლევა, აგვისტო 2020, ჩატარდა იუნისეფის COVID-19-ის სამდივნოს მონაცემების, ანალიზის, დაგეგმვის და მონიტორინგის განყოფილების მიერ <https://data.unicef.org/reports/rapid-situation-tracking-covid-19-socioeconomic-impacts-data-viz>

ბავშვების ვაქცინაცია დიფტერიის მიმართ კორ მექსარის კლინიკაში (ადენი, იემენი), 2020 წლის 4 ივლისი. ვაქცინაცია მიმდინარეობს COVID-19 -ის პანდემიის მიუხედავად.



თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

ადრეული ასაკის ბავშვების განვითარება:

COVID-19 -ის პანდემია ასევე იწვევს მწვავე კრიზისს ადრეული ასაკის ბავშვებზე ზრუნვის და მათი სასწავლო პროცესის მიმართულებით. მსოფლიოში, სულ მცირე, 40 მლნ ბავშვი მოკლებულია ადრეულ ასაკში ზრუნვას და განათლებას, რადგან COVID-19 -მა უარყოფითი გავლენა იქონია ადრეული ასაკის ბავშვებზე ზრუნვის და განათლების დაწესებულებებზე.

ადრეული კრიტიკული წლების განმავლობაში ბავშვებს სჭირდებათ რეაქციული ზრუნვა, ადეკვატური ნუტრიცია, სტიმულირება და დაცვა სოციალური, ემოციური და კოგნიტიური უნარების გასავითარებლად.

ფსიქიური ჯანმრთელობა: COVID-19 -მა გაამწვავა არსებული ფსიქოსოციალური მდგომარეობა, ფსიქიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები და შექმნა ახალი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლოდროინდელი კვლევა 130 ქვეყნისთვის ხაზს უსვამს პანდემიის დამანგრეველ გავლენას ფსიქიური ჯანდაცვის სერვისებთან წვდომაზე. პანდემიის გამო შეწყდა ან შეფერხდა ფსიქიური ჯანდაცვის

სერვისების მიწოდება ქვეყნების 93 პროცენტისთვის, მაშინ როცა მოთხოვნა ფსიქიური ჯანდაცვის მხარდაჭერის სერვისებზე იზრდება. ფსიქიური ჯანდაცვის სერვისების დაახლოებით 70 პროცენტი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ან ასაკოვანი ადამიანებისთვის მოშლილია. აღნიშნული ეხება გლობალურ კონტექსტს, სადაც ყველა ფსიქიური დარღვევის ნახევარი 14 წლის ასაკისთვის იწყება და ფსიქიური დარღვევების სამი მეოთხედი 24-26 წლის ასაკში ვლინდება.

“სტიგმის დაძლევის ნაწილია სხვების გვერდში დგომა; რეგულარულად მოიკითხეთ ოჯახი და ახლობლები და მოუსმინეთ მათ ემპათიით და თანაგრძნობით. ... თუკი არის რამე, რაც შეგვიძლია ვისწავლოთ ამ უპრეცედენტო დროში, ეს არის საკუთარ თავზე და სხვებზე ზრუნვა.“

სარა, 15 წლის, გაერთიანებული სამეფო



ერვინ გონზაბაი, 7 წლის, ხელებს იბანს დედასთან, უოზბეინასთან ერთად, მამის მოლოდინში რომელიც ექიმთან მიღებაზეა სანტა ელენას (ეკვადორი) საავადმყოფოში. მიუხედავად.

ძალადობა: ლოკდაუნმა და სკოლების დახურვამ გააუარესა გენდერული და ბავშვების მიმართ ძალადობის „პანდემიური ზემოქმედება“. ბევრ ქვეყანაში აღინიშნა ოჯახური ძალადობის, საგანგებო თავშესაფრებზე და დახმარების ცხელ ხაზზე მოთხოვნის და ბავშვების სქესობრივი ექსპლუატაციის ონლაინ შემთხვევების ზრდა. ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და ქალების შემთხვევების მართვის და შინ ვიზიტის სერვისები ყველაზე ხშირად გვხვდება შეწყვეტილ სერვისებს შორის. ძალადობის პრევენციის და რეაგირების სერვისები შეწყდა 104 ქვეყანაში, სადაც მთლიანობაში 1.8 მლრდ ბავშვი ცხოვრობს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები: COVID-19 -ის პანდემია განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს შშმ ბავშვებს. ყოველდღიური რუტინის მოშლა და მხარდაჭერის სერვისების შეწყვეტა შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს აუტიზმის ან ინტელექტუალური თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ასევე მათთვის, ვინც ყოველდღიურად არის დამოკიდებული აღნიშნულ სერვისებზე. შშმ ბავშვები ისედაც სამჯერ ან ოთხჯერ უფრო დიდი ალბათობით წარმოადგენდნენ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს და ამ რისკებმა მხოლოდ მოიმატა. შეზღუდული შესაძლებლობები

ერთადერთი უდიდესი ფაქტორია, რომელიც შემოსავალზე, გენდერულ ან სხვა ფაქტორებზე უფრო მეტად განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვას.

ახალგაზრდობის დასაქმება: საშუალო სკოლების ან უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთათვის COVID-19 ამწვავებს დასაქმების მიმართულებით არსებულ კრიზისს. პანდემიამდეც კი გლობალურად 1.2 მლრდ ახალგაზრდიდან 267 მლნ. ზე მეტი უმუშევარი იყო, არ იღებდა განათლებას ან ტრენინგს (NEET). პანდემიის დაწყებიდან ექვსი ახალგაზრდიდან დაახლოებით ერთმა შეწყვიტა მუშაობა და იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც განაგრძობენ საქმიანობას, სამუშაო საათები 23 პროცენტით შემცირდა. პანდემია ცვლის გლობალურ შრომით ბაზარს სამი გზით, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე: შემცირებული შემოსავლები და დასაქმება COVID-თან დაკავშირებით დაკარგული სამუშაოს გამო; გაცილებით დიდი სირთულეები სამუშაოს მოძიებაში და უკეთეს სამუშაო ადგილზე გადასვლაში; და განათლების და ტრენინგის შეწყვეტა, რაც გავლენას ახდენს სამომავლო დასაქმების შესაძლებლობაზე. საყურადღებოა ინფორმაცია ახალ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომ ბავშვთა შრომა, პირველად უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, კვლავ იზრდება.



რაკმადი, 15 წლის, (წინ), შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ბავშვია. ის ესწრება გაკვეთილს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ ბანდუნგის (დასავლეთ ჯავას პროვინცია, ინდონეზია) სკოლა


თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

დიაგრამა 5

ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთა სიღარიბე COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში

ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები 2019 წელს და 2020 წლის ბოლოს (პროგნოზი)



წყარო: იუნისეფის და ბავშვთა დახმარების ფონდის ერთობლივი ანალიზი

COVID-19 -ის ეკონომიკური ზემოქმედების ინვენტარიზაცია

იუნისეფი იკვლევს COVID-19 -ის ეკონომიკურ ზემოქმედებას ბავშვებზე ორი პარამეტრის მიხედვით: ბავშვები ღარიბ ოჯახებში და ბავშვები, რომლებიც განიცდიან მრავალგანზომილებიან სიღარიბეს (აკლიათ ცხოვრების ბევრი მატერიალური პირობა მშობლების შემოსავლის მიუხედავად).

ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობის ზრდა სავარაუდოდ კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც ცუდ სცენარს, რომელიც 2020 წლის დასაწყისში იყო პროგნოზირებული იუნისეფის და ბავშვთა დახმარების ფონდის მიერ. ივნისში შეფასდა, რომ სავარაუდოდ ღარიბ ოჯახებში დამატებით 117 მლნ. ბავშვი იცხოვრებდა 2020 წლის ბოლოსთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უახლესი ეკონომიკური პროგნოზების საფუძველზე ეს დიაგრამა განახლდა დამატებით 140 მლნ ბავშვით წლის ბოლოსთვის. იუნისეფის შეფასებით, 2021 წლის ბოლოსთვის 2019 წელთან შედარებით დამატებით 120 მლნ ბავშვი იცხოვრებს ღარიბ ოჯახებში.

პანდემიამ არა მარტო გაზარდა სიღარიბე ოჯახებზე და შინამეურნეობებზე გავლენის მოხდენით, ის ასევე აღრმავებს სიღარიბეს ბავშვის სიცოცხლის თითოეული განზომილების მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, ნუტრიციის, საცხოვრებლის, წყალმომარაგების და სანიტარული პირობების მიხედვით. დამატებით დაახლოებით 150 მლნ ბავშვი ცხოვრობს მრავალგანზომილებიან სიღარიბეში. ეს წარმოადგენს დაახლოებით 15 პროცენტთან ზრდას პანდემიამდე არსებულ დონესთან შედარებით.

რამდენადაც სამუშაო ადგილები და შემოსავლის წყაროები მცირდება, სოციალური დაცვის სქემები, განსაკუთრებით ფულადი ტრანსფერების პროგრამები მნიშვნელოვან დასაყრდენად იქცა. 200-ზე მეტმა ქვეყანამ შექმნა ასეთი პროგრამები ან ინვესტიცია განახორციელა არსებულ პროგრამებში ბავშვების და მათი ოჯახების მხარდასაჭერად. ამ მნიშვნელოვანი დახმარების მიუხედავად მათი უმეტესობა დროებითია და ყოველთვის არ ახდენს რეაგირებას დაფარვაში და ადეკვატურობაში არსებულ კრიტიკულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც წინ უსწრებდა COVID-19 -ს. პანდემიამდე ბავშვების ორი მესამედი მსოფლიოს მასშტაბით არ იყო მოცული სოციალური დაცვის პროგრამებით, სოციალური დაცვის რეაგირების მხოლოდ 18 პროცენტი არის გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური და მცირე რაოდენობა პასუხობდა არაფორმალურ სექტორში მომუშავეთა კრიტიკულ საჭიროებებს.

მხოლოდ 17 ქვეყანა რთავს მკაფიოდ მიგრანტებს ან ლტოლვილებს COVID-თან დაკავშირებულ სოციალური დაცვის სქემებში. ბავშვთა სიღარიბის უბრალოდ შემცირება კრიზისამდე არსებულ დონემდე, რომ არაფერი ვთქვათ სოციალური დაცვის განვრცობაზე გაჭირვებაში მყოფ ყველა ბავშვზე, მოითხოვს უფრო მეტად ამბიციურ ინვესტიციას ბავშვებისთვის განკუთვნილ სარგებელში, ზრუნვის პოლიტიკაში და ასევე განახლებულ ვალდებულებას ინკლუზიური სოციალური დაცვის სისტემების დანერგვის მიმართ.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

4. ექვსპუნქტიანი გეგმა ჩვენი ბავშვების დასაცავად

ბავშვებზე COVID-19 -ის დამაზიანებელი გავლენა სრულად მომდევნო წლებში გამოჩნდება. პანდემიის საპასუხოდ სახელმწიფოებმა მსოფლიოს მასშტაბით მილიარდობით დოლარის მობილიზება განახორციელეს ეკონომიკის გადასარჩენად. მაგრამ შეიძლება აღმოვჩინდეთ სხვა დანაკარგის წინაშე თუ სათანადოდ არ ვიმოქმედებთ: ეს იქნება ბავშვების დაკარგული თაობა.

ჩვენი ბავშვების დასაცავად გაეროს 172 წევრი ქვეყნის მტკიცე დაპირებაზე დამყარებული **ექვსპუნქტიანი გეგმა** მოიცავს გადაუდებელ ღონისძიებებს პანდემიის ყველაზე უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად, რამდენადაც ის განაგრძობს გავრცელებას მსოფლიოს გარშემო. ის ახლა ასევე გვთავაზობს პრაქტიკული და კონკრეტული ღონისძიებების ნაკრებს ბავშვთა უფლებების დასაცავად და უკეთეს მომავალზე ხელახლა დასაფიქრებლად. ის მიზნად ისახავს მსოფლიოს კვლავ გაერთიანებას საერთო მიზნის გარშემო: ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დასაცავად და მდგრადი განვითარების მიზნების და ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის სრული რეალიზაციისთვის.

იუნისეფი მთავრობებს და პარტნიორებს მოუწოდებს:

- 1 უზრუნველყონ ყველა ბავშვისთვის **სწავლა**, მათ შორის, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა;
- 2 უზრუნველყონ წვდომა **ჯანდაცვის და ნუტრიციულ სერვისებთან** და ვაქცინა ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი გახადონ თითოეული ბავშვისთვის.
- 3 ხელი შეუწყონ და დაიცვან ბავშვების და ახალგაზრდების **ფსიქიური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ ბავშვების მიმართ ძალადობის, გენდერული ძალადობის და უყურადღებობის შეწყვეტა.**
- 4 გაზარდონ წვდომა **სუფთა წყალთან, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებთან** და განახორციელონ საპასუხო **ღონისძიებები გარემოს დეგრადაციის და კლიმატის ცვლილების მიმართ.**
- 5 შემოაბრუნონ ბავშვთა **სიღარიბის ზრდა** და უზრუნველყონ მდგომარეობის გამოსწორება ყველასთვის.
- 6 გააორმაგონ ძალისხმევა იმ ბავშვების და მათი ოჯახების დასაცავად და მხარდასაჭერად, რომელთაც უწევთ ცხოვრება **კონფლიქტის, კატასტროფის პირობებში და იძულებით გადაადგილება.**

ამ სფეროებში გადანყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა განსაზღვრონ კრიტიკული ნაბიჯების პრიორიტეტულობა: მოუსმინონ ბავშვებს და ახალგაზრდებს და ჩართონ ისინი სამომავლო გადანყვეტილებების მიღებაში. მათ მოუწევთ ცხოვრება პანდემიის ზემოქმედების შედეგებთან ერთად და ის, თუ როგორ აირჩევს მსოფლიო რეაგირებას მომდევნო წლებში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ გადანყვეტილებებში რომლებიც გავლენას იქონიებს მათ მომავალზე. და ჩვენი საერთო მდგრადი განვითარების მიზნები მოითხოვს რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა, ნებისმიერი განხორციელებული ღონისძიება უნდა განსაზღვრავდეს ყველაზე მარგინალიზებული ბავშვების და ახალგაზრდების, მათ შორის, გოგონების საჭიროებებს; ვინც სიღარიბის, გარიყვის ან ძალადობის რისკის წინაშე დგას; და ვიზუალური რადიკალური გავლენა იქონია ჰუმანიტარულმა კრიზისმა ან ვისაც მოუწია გადაადგილება.

უკვე თითქმის ერთი წელია რაც COVID კრიზისი მძვინვარებს. მისი გრძელვადიანი ზემოქმედება ბავშვებზე და ახალგაზრდებზე, ვის ცხოვრებაზეც ძირითადი სერვისების

შენწყვეტამ და პანდემიის სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგებმა გავლენა იქონია, უცნობი რჩება. კრიზისის გაღრმავების პირობებში აუცილებელია გაცილებით მეტი დრო, რესურსები და ძალისხმევა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მოქალაქეებზე პანდემიის სრული გავლენის შესასწავლად. ასევე საჭიროა დადასტურებული და იმედისმომცემი პრაქტიკის ფორმულირება მათი უფლებების დასაცავად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის მიღწევა გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ ჩვენი საერთო მომავლისთვის და ჩვენი შვილების აწმყოსა და მომავლისთვის ეს არის გამოწვევა, რომელიც დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს.

COVID -ის პანდემიამდე არსებული 'ნორმალური' მდგომარეობა არასოდეს იყო საკმარისი ბავშვებისთვის და ჩვენს ხელშია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის უკეთესი მომავლის დასახვა და უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სრულწლოვანების ასაკს აღწევს ქუმარითად პირველი გლობალური საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

დიაგრამა 6

იუნისეფის ექვსპუნქტიანი გეგმა ჩვენი ბავშვებისთვის

სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მხარდაჭერის ეს ყოვლისმომცველი პაკეტი ჩვენი ბავშვების დასაცავად ახლა, მათი უკეთესი მომავლის დასაგეგმად. დაუყოვნებელი რეაგირების გარეშე აღმოვჩნდებით ბავშვთა უფლებების და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შემცირების რისკის წინაშე.

1

უზრუნველყონ ყველა ბავშვისთვის **სწავლა**, მათ შორის, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა;

2

უზრუნველყონ წვდომა **ჯანდაცვის და ნუტრიციულ სერვისებთან** და ვაქცინა ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი გახადონ თითოეული ბავშვისთვის.

3

ხელი შეუწყონ და დაიცვან ბავშვების და ახალგაზრდების **ფსიქიური ჯანმრთელობა** და უზრუნველყონ ბავშვების მიმართ **ძალადობის, გენდერული ძალადობის და უყურადღებობის** შეწყვეტა.

4

გაზარდონ წვდომა **სუფთა წყალთან, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებთან** და განახორციელონ საპასუხო **ღონისძიებები** გარემოს დეგრადაციის და კლიმატის ცვლილების მიმართ.

5

შემოაბრუნონ **ბავშვთა სიღარიბის** ზრდა და უზრუნველყონ მდგომარეობის გამოსწორება ყველასთვის.

6

გააორმაგონ ძალისხმევა იმ ბავშვების და მათი ოჯახების დასაცავად და მხარდასაჭერად რომელთაც უწევთ ცხოვრება **კონფლიქტის, კატასტროფის პირობებში** და **საცხოვრებელი ადგილის დატოვება**.

თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა:

პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის

მონაცემთა დანართი

SARS-CoV-2 ინფექციის გავრცელების მონაცემები ბავშვებში და 20 წლამდე ახალგაზრდებში ხელახლა გაანალიზებულია დემოგრაფიული კვლევების [მაქს პლანკის ინსტიტუტიდან \(MPI DR\) მიღებულ ინფორმაციაში ქვეყნის შესახებ.](#)

რამდენადაც ყველა ქვეყანა რუტინულად არ აღრიცხავს COVID-19 ის მონაცემებს სტანდარტული ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით, ინსტიტუტის გუნდმა ასაკობრივი ჯგუფების სტანდარტიზაცია მოახდინა და უცნობი ასაკობრივი ჯგუფის ღონისძიებები 5 წლის ასაკის ჯგუფებზე გადაანაწილა. ნედლი მონაცემების გამოყენებასთან შედარებით, მონაცემთა ბაზა იძლევა მარტივი გამოთვლების და შედარებების განხორციელების საშუალებას ქვეყნების მასშტაბით.

ჩვენ გადავამოწმეთ ინსტიტუტის შედეგები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზასთან, რომელიც 2020 წლის სექტემბერში დაიხურა. შედეგები შედარებით შესაბამისობაში იყო ბავშვების და მოზარდების ასაკობრივ ჯგუფებში საქმეების რაოდენობასთან. ჩვენ ასევე შევადარეთ მაქს პლანკის ინსტიტუტის მონაცემები 87 ქვეყნის შესახებ ჯონ ჰოპკინსის COVID-19 -ის მონაცემთა ბაზას, რომელიც გამოიყენება როგორც ოქროს სტანდარტი MPI მონაცემთა ბაზაში არსებული საქმეების წილის შედარებისას მსოფლიოს მონაცემებთან.

ჩვენ გამოვიყენეთ [2019 წლის მსოფლიოს მოსახლეობის პერსპექტივების 5 წლის](#) ჯგუფის შეფასებები 2020 წელთან მიმართებით შეფასებების მისაღებად. შევქმენით მონაცემთა ორი მასივი, ერთი მთლიანი მოსახლეობის მონაცემებით და მეორე 0-დან 19 წლამდე ასაკის ჯგუფისთვის. მონაცემთა მასივი იძლეოდა მთლიანი მოსახლეობის და მამაკაცების და ქალების მონაცემებს ქვეყნის და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული შემოსავლების ჯგუფებში. აღნიშნული მონაცემები გაერთიანდა MPI მაჩვენებლებთან ერთობლივი მონაცემების გამოსათვლელად. შემოსავლებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე.



unicef 

for every child

